

# ქართველი კათოლიკები



ფასი 50 ქ. 3  
33959

პრელატი ღონი ივანე ახტონოვი.

ვ. ქ.


თბილისი

ელექტრომბეჭდავი დ. ლ. პიტნავასი.

1819



1919



8. 30 80 61 40  
ნოვის ქუჩა, სახლი 30 №-რა.  
კაცი მუშა.

## პრელატი დონ ივანე ანტონოვი.

დონ ივანე ანტონოვი სახელოვანი და ამაგდარი მოღვაწეა, იგი პატივცემული გახლდათ მთელ ქართველ კათოლიკობაში, კათოლიკობას გარდა მას ქართველობაც კარგად იცნობდა. დონ ივანე გორის მკვირრთაგანი გახლდათ.

დონ ივანემ საქართველოს ისტორიაც კარგად იცოდა, საქართველოს საქმეებს იგი კარგად იცნობდა, ამიტომ იგი საქართველოს ერის ბედზედ ერისობ გულ-დაწყვეტილი იყო და უმაღული. ქართული ენაც ჩინებულად იცოდა, წერაშიც გახლდათ დახელოვნებული.

დონ ივანემ სწავლა-განათლება მიიღო რომში, პაპი ურბან მერვის კოლეგიაში, სწავლა დასრულა 1874 წ. მიიღო დიპლომი ფილოსოფიის და მღვთის-მეტყველების პროფესორობის, ამავე წელს იგი ეკურთხა მღვდლად და მის შემდეგ იგი დანიშნეს ქუთაისის კათოლიკეთ ეკლესიის წინამძღვრად. ევროპიელ ენებთ შორის დონ ივანემ პოლონურიც კარგად იცოდა.

კათოლიკეთა სასულიერო წოდებაში, მან მაღვ დაიმსახურა დიდი სახელი და პატივისცემა. მისი ნიჭიერება რომის ტახტმაც შეიტყო. იგი მაღვ დააწინაურეს, სარატოვის ეპისკოპოსმა მიიწვია სემენარიის რექტორად და მასთანვე ფილოსოფიის და მღვთის-მეტყველების პროფესორად, ამ საგნებს იგი მოწაფეებს ევროპიულის ენებით ასწავლიდა.

1902 წ. საქართველოში გიახლათ კათოლიკეთა ეპისკოპოსი, ეს პირველი მაგალითი იყო XIX საუკუნეში. ეპისკოპოს თან მოჰყვა დონ ივანე. ეპისკოპოსმა პირველად ტფილისის კათოლიკეთ ძველს ეკლესიაში სწირა, სადაც თანამწირელად გახლდათ დონ ივანეც. წირვაზედ დიდი ძალი საზოგადოება იყო მოწვეული. წირვის დროს დონ ივანემ ქართულად იქადაგა, ამის ქადაგებამ მსმენელებზედ კარგი გავლენა იქონია, ნამეტურ აღტაცებული იყო ილია ჭავჭავაძე, ეს მწერალი

იმ დღიდამ დიდის თავაზით და პატივისცემით იხსენიებდა დონ ივანეს სახელს.

ამბობენ, რომ დონ ივანეს თურმე ტერ-აბრამიანი ოსტა-ტურად ატყუილებდა, ვიდრე ტერ-აბრამიანი ახალკიხის კათო-ლიკეთ ეკლესიების უფროსობას მიიღებდა, მინამ იგი თურმე ქართველობდა და ამით ხიბლავდა დონ ივანეს, ესეც თურმე რომის ტახტის წინაშე სახელს უკეთებდა, რომ აბრამიანს დროით მიეღო უფროსობა. ეს მალეც მოხდა. აბრამიანი გან-დიდების შემდეგ სხვა მელად გამოჩნდა, ქართველების დაჩა-გვრაც დაიწყო. ეს გარემოება კი დონ ივანეს დიდათ ადარ-დებდა. ამ გარემოებამ მეტად ცუდათ იმოქმედა დონ ივა-ნეზედ.

დონ ივანეს შესახებ მოვიყვანთ აქ პატარა წერილს, რომ-ლის დაწერაც ეკუთვნის პატრი ბერნარდე განზეს, ტომით ნემენცს, ქართული ენის კარგად მცოდნეს.

„დონ ივანე დაიბადა 7 დეკ. 1846 წ. ქ. გორში. დაასრუ-ლა ქუთაისის გიმნაზია 1865 წ., რომლის შემდეგ გაემგზავრა რომში, სადაც სწავლობდა პაპი ურბანოს კოლეგიაში, რო-მელიც დაასრულა 1874 წ. და მიიღო დიპლომი პროფესო-რისა ფილოსოფიისა და მღვთის-მეტყველებისა. ეკურთხა ქ. სმირნას (მკირე აზიაში) და ამავე წელს (1874) დანიშნულ იქმნა ქუთაისში, თანაშემწეთ მოხუც მოძლვრისა დონ ანტო-ნი გლახოვისა, რომლის სიკვდილის შემდგომ ე. ი. 1879 წ. მიიღო დანიშნულება მისივე და იქმნა მთავარ-მოძლვრად ამა-ვე ქუთაისის ეკლესიისა და ასწავლიდა საქრისტიანო მოძლვრე-ბას გიმნაზიებში და სასწავლებლებში.

1883 წ. ეპისკოპოსმა ცოტმანმა მიიპატიუა სარატოვის კათოლიკეთ სემინარიაში და დაადგინა ინსპექტორად და პრო-ფესორად სემინარიისა და აგრეთვე ლამცველად ქორწილობის კანონ-რიგთა.

ეპისკოპოსმა ბარონმა ფონ-დერ-როპშმა გახადა რექტორად ამავე სემინარიისა და ასესორად კონსისტორიისა 1903 წ. ამავე

წელს წმ. მამამ პიო X-ემ შუამდგომლობით ამავე ეპისკოპოზისა გახდა თავის პრელატიდ და პროტონტარიუსად სამოციქულო ტახტისა—ad instar participantium.

1908 წ. გახდა ავად სარატოვში და გადმოვიდა სამშობლოში 1910 წ.

გარდაიცვალა თფილისში 1912 წ. 25 დეკემბერს. დასაფლავებულია წმ. პეტრე-პავლეს ეკლესიის გალავანში.

### ჭიზატატორი დონ მიხეილ ანტონოვი.

დონ მიხეილი გახლავსთ ღვიძლი ძმა დონ ივანესი. დონ მიხეილი ალიზარდა რომს, ირიცხება რომის აკადემიის მღვთის-შეტყველების კანდიდატათ.

იცის ევროპიული და აზიური ენები, ევროპიულ ენებთ შორის კარგად აქვს შესწავლილი პოლონური, ამ ენაზედ იგი ეკკლესიაში თავისუფლად სწირავს და ქადაგებს.

დონ მიხეილი სამღრთო წერილსა და ევროპის სწავლა მეცნიერებაშიაც კარგად გახლავსთ განვითარებული და მომზადებული. ყოველ ღირსებასთან იგი ბრძანდება სამაგალითოდ მსახური კათოლიკის ეკლესიისა და მასთანვე სამაგალითო კათოლიკი, ყოველ სასიკეთო ღირსებასა და მღვთის-მსახურებასთან მას აქვს მოხდენალი ხმა და მისაზიდი კილო, მისი წირვა-ლოცვა გახლავსთ ყოველთვის ხმოვანი. ყოველ ასეთ ღირსებასთან თავის დედა-ენაც კარგად უწყის.

როგორც ეკკლესიის უმაღლესი მსახური, მთელს თავის სამრევლოში გახლავსთ სამაგალითო ადამიანი. თვით პოლონელებიც კი, რომელნიც ცხარე ნაციონალისტები არიან და მასთან მკაცრი მაძიებელნი მის, რომ მათ ეკლესიის მეთაურად უსათუოდ პოლონელი უნდა ჰყვანდესთ, თვით ესენიც კი დიდათ აფასებენ დონ მიხეილს.

ასეთი პირის სახელოვნება ჩვენთვის, ქართველებისათვისაც, რასაკვირველია, რომ სასახელოა და სადიდებელი. მრევლ-

ში იგი გახლავსთ შესმენილი მეთაური, კარგად მცოდნე თავის მრევლის ავ-კარგიანობის. დონ მიხეილი თავის მრევლში მოძღვართ მოძღვარიც გახლავსთ, მათი პედაგოგ-მასწავლებელიც, მათი მოსამართლე-კანონმდებელი და ყოველივე ამაებთან ერთად ტვირთ მძიმეთა და მაშვრალთა, ანუ გაჭირვებულთა დამხმარეც.

პირნათლად უნდა მოვიხსენოთ, რომ ასეთ სუფთა-რიგიან პირთა პოვნა და ნახვა ჩვენს დროში ერთობ იშვიათია და ძნელი. ამ ლირსებამ მას თავისუფლად მიაღწევინა იქამდის, რომ 1907 წ. რომის ტახტის თანხმობით იგი დანიშნულ იქმნა საქართველოს და საერთოდ მთელის კავკასიის კათოლიკეთ ეკკლესიის ვიზიტატორად. ესეც პირველი მაგალითია ჩვენთვის, მთელს XIX საუკუნეში ეს პირველი გახლავსთ, რომ კავკასიის კათოლიკეთ ეკლისიების უფროსად ქართველი გვარის კათოლიკე იქმნა ვიზიტატორად დანიშნული. დონ მიხეილის შესახებ აქ მოვიყვან პატარა ბიოგრაფიულ წერილს, რომელიც დაწერილია აგრეთვე პატრის ბერნარდე განზესაგან.

„დონ მიხეილი დაიბადა 1855 წ. 29 მარტს ქ. გორიში. სწავლობდა ჯერ თფ. გიმნაზიაში, ხოლო შეასრულა თვისი ჰუმანიტური სწავლა ქუთაისის გიმნაზიაში 1878 წ. და ამ წელსვე გაემგზავრა რომს, საღაც სწავლობდა როგორც თვისი უფროსი ძმა, პრელატი ივანე ანტონოვი, ურბანო პაპის კოლეგიუმში, რომელიც გათავებისას ეკურთხა მღვდლად 1884 წელს 24 დეკემბერს. პირველი წლები ოვისი მღვდლობისა გაატარა სარატოვში, საღაც ასწავლიდა 1893 წლამდე კათოლიკე სემინარიაში: ფილოსოფიას, ლათინურ ენას, ანგარიშს და გეოგრაფიას.

შხოლოდ 1893 წელს დანიშნულ იქმნა ვიქარნად თუილისის მიძინების ეკკლესიისა და მასწავლებლად საქრისტიანო მოძღვრებისა გიმნაზიებში. ხოლო ერთი წლის შემდეგ მიიღო ჩინი მანსიონერალისა ქათედრალი ეკლესიისა და დაინიშნა ჯარის მოძღვრად თემირ-ხან-შურაში.

1903 წ. დანიშნეს იგი მარიუპოლის მთავარ-მოძღვრად და დეკანათ. ხოლო 1906 წ. გადმოვითა კვლავ სამშობლოში მასწავლებლად საქრისტიანო მოძღვრებისა თფილისის გიმნაზიებისა და 1907 წ. დაინიშნა მთავარ-მოძღვრად თფილისის წმ. პეტრე-პავლეს ეკლესიისა და საყოველთაო ვიზიტატორად კათოლიკე ეკლესიებისა ამრე და იმიერ კივკასიისა დღემდე ეს არის პირველი ქართველი ვიზიტატორი“.

კონსტანტინეპოლის ქართველ კათოლიკეთ მონასტრის აბბატი პიო ბალიძე

სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა აბბატი მ. პიო ბალიძე დაიბადა 1882 წ. სოფ. ხიზაბავრაში. ყმაწვილობისას ძალიან ცელქი ყოფილა; ეს სიცელქე სტამბოლშიც ემჩნეოდა: სასწავლებელში არა ერთი და ორი სომეხი ანუ ბერძენი თანამოწაფე აუტირებია, რადგან დასკინოდნენ საქართველოს და ქართველ ერსა. მიუხედავად ამ სიცელქისა, მაშინათვე ეტყობოდა, რაც უნდა გამოსულიყო; ზოგიერთი დაკვირვებული პირი კიდეც დაბეჯითებით ამბობდა: ამას მაგრე ნუ უყურებთ, მომავალში მონასტრის სვეტი იქნებათ.

ქართულ ენას ექვსი წლის განმავლობაში ასწავლიდა საქართველოში კარგად ცნობილი მჭევრი მოქადაგე პ. ალფონს ხითარაშვილი. ამის დამწველი სიტყვები სიკვდილამდის არ დაავიწყდებათ არც მ. პიოს და არც მის თანამოწაფეებს. განსვენებული გაცხარებით ლაპარაკობდა ხოლმე მამულზე, მის წარსულსა და ეხლანდელ უბედურებაზე. რავდენჯერ ცრემლები შეუმჩნევიათ მოწაფეთა თვალებში. აქ უნებლივთ მასენდება ჰანიბალეს ცხოვრება: ჯერ კიდევ ყმაწვილი იყო, მისმა მამამ სპასპეტმა ჰასდრუბალმა ტრაპეზიან მიიყვანა და ფიცი ჩამოართვა ღმერთების წინაშე, რომ უკანასკნელ სულის

ამოფშვინვამდე მტერი იქნებოდა რომაელებისა. მამა ოლფო-  
სის სპეტაკ სულს არ შეეფერებოდა ვისმეს მტრობაში გაე-  
წვართნა ახალგაზრდები, და არც თუ სხვა რამეზე ფიცი ჩამო-  
ურთმევია, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, თვრთოეულ მის მო-  
წაფეთაგანს იმ დროიდანვე შეფიცული აქვს სამშობლოსთვის:  
„შენი ვარ, შენთვის მოვკვდები  
შენზედვე მგლოვიარეო“.

ახალგაზრდების ბანაკიდან სულ პირველად მ. პიო ეკურ-  
თხა მღვდლად. მაშინ ყველასაგან მიჩნეული იყო როგორც  
მონასტრის უფროსისაგან (პ. ბენედიქტე), აგრედვე ეპისკო-  
პოსისაგენ და თვალსაჩინო თანამდებობანიც ჰქონდა შიბრი-  
ლი; მაგრამ მონასტრიელთა შინაურ შულლმა გული გაუტეხა  
და განზე გადგა, აღარაფერში მონაწილეობა აღარ მიიღო.  
სწორედ იმ დროებშიც უფროსობის ვადა უთავდებოდა ცნო-  
ბილ პ. ბენედიქტეს\*). ახალგაზრდების ჯგუფმა მ. პიოს კან-  
დიდატურა წამოაყენეს; ეს არჩევანი უმეტესობას ძალიან მოვ-  
წონა, და მართლაც უნაზეს გრძნობასთან შეერთებული გაუ-  
ტეხელი ენერგია და მონასტრის განუსაზღვრელი სიყვარული,  
ღირს ჰქმნიდან მ. ბალიძეს აბბატობის არგნისა (კვერთხისა).  
მისდა საბედნიეროდ მისი თანაშემწენი ყველანი სათანადო  
ცოდნით ალჭურვილ არიან და ყველანი, როგორც ერთი პი-  
როვნება, ერთობით მოქმედობენ; ამ ერთობაში სწორეთ მა-  
თი წინსვლის საიდუმლო: ყველაფერს წარმატება დაეტყო.

მეტადრე აღყვავების გზაზე დადგა შინაური სასწავლებე-  
ლი, საკვირვლად გაიზარდა და მალე გიმნაზიადაც გადაკეთ-  
დება თუ ეკონომიურ პირობებმაც ხელი შეუწყეს.

\*) აქ მეტი არ იქნება პ. ბენედიქტეზე ცოტა რამ ვსთქათ. იგი  
გვაროვნობით ხალასი ქართველია, და რამდენადაც მე ვიცნობ არც თუ  
გრძნობით ღალატობს ქართველობას: უურნალებში ბევრი დანაშაობა  
ცუდუბრალოთ წამოახვიეს თავზე, ეს კია რომ ბრალიანათ მიმაჩნია იგი  
ამ სამ უმთავრეს საგნებში: ა) ქართული ტიპიკონი ამოაფხვრევინა, ბ)  
უსკუდრის (scutari) მამული დაუკარგა მანასტერს და გ) უფროსობის  
დროს არ შეეცადა შულლი მოესპო, პირიქით უფრა გაამწვავა. შ. ბ.

საქართველოს ხალხი აღტაცებით მიეგება მონასტრის გამოფხიზლებას, ბევრმა შეძლებისდაგვარი დახმარებაც აღმოუჩინეს, მეტადრე ქ. ქუთაისში, საიდანაც უურნალები და დიდალი წიგნები გაუგზავნეს სხვა და სხვა პირებმა\*).

ამ წელს მ. პიომ მოიარა საქართველო და პირადად გაიცნო სამშობლოს ჭირ-ვარამი. თვისი მოქმედების გეგმანი მოწინავე პირებს გაუზიარა და ყველანი აღტაცებით მიეგებნენ მის კეთილ განზრახვებს. ჩვენ პირადათ ვიცნობთ პატივ-ცემულ აბბატს: ის ზოგიერთივით კავალს არ აჩხრიალებს, მაგრამ დარწმუნებული ვართ ბევრს საქმეს კი გაარიგებს. ექვსი წლისთვის ჩაბრილი აქვს უფროსობა, ამ მოკლე დროს განმავლობაში ერთი-ათათ აყვავლება მონასტერი და განცვიფრებულ საზოგადოებას ბევრს მოულოდნელ ნააყოფს დაანახვებს.

სტამბოლის განთქმულ აბბატს მ. პიო ბალიძეს ვუსურვებთ ბოლომდის პირნათლად აღესრულებინოს თავისი მოვალეობა.

პატივი შიო ბათმინაშვილი.

### ქუთაისის რომის ქართველ კაოლლიკეთ ეკლესიის წინამძღვარი დონ დამიანე სააკაშვილი

დონ დამიანე სააკაშვილი დაიბადა ქ. ქუთაისში 19 ივნისს 1865 წ. მამა იყო იაკობი (გორელი) და დედა მაგდანელალაჩინაშვილი (აბხაზელი). მშობლებმა 7 წლისა მიაბარეს იგი ადგილობრივ კათოლიკეთა სკოლაში, შემდეგ გიმნაზიაში და 1883 წ. თავისი სურვილისამებრ მისმა მამიდაშვილმა დონ ივანე ანტონოვმა, მაშინდელმა ქუთაისის რ. ქ. ეკლესიის წინამძღვარმა, გააგზავნა რომში სასწავლებლად ურბანო VIII

\*) თუ ქუთაისი ასე გამოერჩია, ეს იმიტომ რომ იქ ცხავრობს მონასტრის გულითად მეგობარი თ. ვლადიმირ წერეთელი, რომელიც დას კულტურულ შრომას ეწეოდა სტამბოლში, და არც აქ საქართველოში იკიწყვებს თავის საყვარელ საქმეს.  
შ. ბ.

პაპის დაარსებულ კოლეგიაში, სადაც დაამთავრა 1891 წ. და გამოემგზავრა სარატოვში ტირასპოლის ო. კ. ეპარქიის ეპისკოპოსთან, რათა მღვდლად კურთხეულიყო (საზღვარ-გარედ მღვდლობის მიღება მთავრობისაგან აკრძალულია), თანაც რეკომენდაციის წერილი ჰქონდა იმ კოლეგიის უფროსისაგან — კარლინალ სიმეონისაგან.

ეპისკოპოსმა ცერემია სიამოვნებით მიიღო — ჩარიცხა იგი თავის კლერიკუმის სიაში და 6 თვის შემდეგ კიდეც აკურთხა მღვდლად. უნდოდა ეპისკოპოსს დაენიშნა იგი პროფესორად მისივე სემინარიაში, მაგრამ მან ამჯობინა ემოლვაშა მრევლის დახმარებაში და სთხოვა სადმე დაენიშნა სამრევლოში. აუსრულა ეპისკოპოსმა მას სურვილი და 20 მარტს 1892 წ. გააგზავნა იგი აღმინისტრატორად (მმართველად) პეტერბურგის (თავრიზის გუბ.) სამრევლოში, სადაც ერთი წელიწადი ერთი უმღვდლოთ იყო. დღესაც ბერეკოპი, და ნამეტნავად იმ დროს, პატარა ქალაქია, ღარიბი და მოკლებული ყოველნაირ წყლისა თუ რკინის გზის საშუალებათა.

თვით სამრევლო შესდგებოდა რამდენიმე სოფლისაგან, ზოგიერთი მათგანი 130 ვერსის მანძილზეა პეტერბურგიდან; ძრიელ ძნელ და მძიმე მღვდლმარეობაში იყო: უსუფთაობა, სიღარიბე, სულ ცხენით მგზავრობა ზამთარ-ზაფხულ, ქოხებში შეჩერება; ყველა ეს აიტანა მხიარულებით და დასახმარებლად გაჭირვებულ გლეხებისთვის.

6 თვის განმავლობაში აღაშენა ერთი პატარა აგურის ეკკლესია პეტერბურგში, სადგომი სახლი შეაკეთა მოწყობილობით, შემოარტყა რკინის ზღუდე და სხვა. ეს სუსელა აქა-იქა წასვლით და ფულის შეკრეფით (20,000 მან.). 12 ოქტომბერს იმავე 1892 წელს აკურთხა ეს ეკკლესია დიდი ძალი ხალხის თანადასწრებით. კურთხევაში მას ეხმარებოდა ხერსონის წინამძღვარი ბერლისი (ბაროხი) და სიმფეროპოლის კეს-სლერი (ეხლანდელი ეპისკოპოსი ტირასპოლის ეპარქიისა).

13 აგვისტოს 1894 წ. იტალიელების თხოვნით გადაყვანილ იქმნა ბერდიანსკის (აზოვის ზღვა) სამრევლოს მმართველად, სადაც ახლად შეაკეთა იქაური ეკკლესია, შემთარტყა რკინის ზღუდე, ეზოში გააშენა ბაღი და დაარსა სამრევლო სკოლა და სხვა.

22 იანვარს 1899 წ. გაგზავნილ იქმნა ოდესაში იტალიელებისათვის და თანაც ეხმარებოდა პოლონელების მღვდელსაც, რის გამო შეისწავლა მათი ენაც—პოლონური. ამ ენაში ისე დახელოვნდა, რომ მერე თავისუფლათაც ქადაგებდა ამ ენაზედ.

13 ივნისს 1902 წ. კადაიყვანეს ლუგანსკში (ეკატერინოსლავის გუბ.) იქაური მრევლის თხოვნით, რათა შეედგინა ახალი სამრევლო ლუგანსკში, რადგანაც მანამდის ეს ეკუთვნოდა ბახმუტის სამრევლოს. იმ ხანში გამოიცვალა ეპისკოპოსი ტირასპოლისა ცერრი და მის ადგილზედ დაინიშნა ეპისკოპოსი ბარონი ფონ-დერ-როპი, რომელმაც მაშინვე ისურვა კავკასიის სამრევლოების დათვალიერება და თან წაიყვანა დონ დამიანე თავის სეკრეტრად. იმ ხანებში, სხვათა შორის, ეპისკოპოსმა აკურთხა და მირონი სკხო ბათუმის რ. კ. ეკკლესიას ახლად აშენებულს ს. კ. ზუგალაშვილის მიერ. 3 ოვის შემდეგ, დასრულდა თუ არა ეპისკოპოსის მოგზაურობა, დაბრუნდა ლუგანსკში, მოკრიფა აქა-იქა წასვლით ფული, დაიწყო ეკკლესიის შენება და რადგან ეს ჩქარა არ მოთავდებოდა, ააშენა დროებით სალოცავი სახლი, ბინა მოძღვრისთვის, ზღუდე რკინისა, იქირავა სახლი სკოლისთვის, დაარსა საქველმოქმედო საზოგადოება ამ სკოლის შემწეობისთვით, სადაც პირველ წელსვე მოაგროვა 40 ბავშვი დარიბ მოხელეების და ასე ლუგანსკის სამრევლო უფრო მაღლა ასწია ვინემ ბახმუტის, რომლის ერთ ნაწილს შეადგენდა წინეთ.

16 აგვისტოს 1905 წ. თხოვნით ქუთაისელების ეპისკოპოსმა დანიშნა იგი ქუთაისის რ. კ. ეკკლესიის მმართველად, სადაც დღეს იმყოფება. თუმცა ძრიელ ცუდ დროს გაღმოვი-

და იგი სამშობლოში, სადაც ახალ-თაობის მოძრაობა იყო, მანც პირველსავე წელიწადში პირველი ყურადღება მიაქცია ბავშვების აღზრდას—გადააკეთა და გაადიდა სკოლა, შემდეგ ეკლესია, სადგომი სახლი, ეკლესიის ეზო, ყოველ დღე თავი-სუფალ დროს თვითონვე მუშაობდა რაც შეხვდებოდა, თვით დღიურ მუშებთანაც და ასე ეკლესია, და ეზო ნამეტნავად, მოიყვანა იმ წესში და სისუფთავეში, რომ დღეს ქუთაისში პირველი საჩვენებელი აღგილია ყველა უცხო სტუმართათვის და სხვაც ასეთნი.

მაისში 1913 წ. ქუთაისში იყო ეპისკოპოსი ეკლესიის მირონის საცხებლად, მრევლისაგან იგი დიდის ამბავით იყო მიღებული.

ეპისკოპოსმა ქუთაისში მიბრძანების და ეკლესიის ნახვის შემდეგ სთქვა: „მე მიმგზავრნია ბევრს ალაგას, ამ მგზავრობის დროს ბევრი ეკლესია მინახავს და ასე სუფთად, ასე კარგად მოწყობილი და შენახული ეკლესიია კი არსად შემხვედრია“. ყოველად სამღვდელომ დიდი მადლობა გადასცა დონ დამიანეს და უსურვა მას ასე მოქმედება მრევლის წინაშე.

დონ დამიანე ყოველს ლირსებასთან ერთად გახლავსთ კარგად მცოდნე ქართული ენის, ქართული ლიტერატურის და საქართველოს ისტორიისა. იგი ქართულ მწერლობას გულისყრიანად აღევნებს თვალ-ყურს, ყოველს სასიკეთო, თუ საზოგადო საქმეებთა არსებობასაც მხურვალედ აღევნებს თვალ-ყურს, მრევლშიაც დაუზარელი და ხელ-გაშლილი მოღვაწეა.

ბათუმის რომის ქართველ ქათოლიკეთ ეკლესიის  
წინამძღვარი დონ გაბრიელ ასლანიშვილი

დონ გაბრიელ ასლანიშვილი, ანუ სომეხთაგან ასლანოვად წოდებული, შთამომავლობით ქართველია და იგინი სოფ. ბავრელები არიან (ახალქალ. მაზ.). დონ გაბრიელი დღეს ბა-

თუმის ქართველ კათოლიკეთ ეკლესიის წინამძღვრად გახლავსთ.

დონ გაბრიელ ასლანიშვილი დაიბადა 1860 წ. ქუთაისში. სწავლა მიიღო ჯერ კონსტანტინეპოლის 3. ხარისჭისაშვილის სკოლაში, შერე მომთობანს და რომს, სწავლა დაამთავრა 1890 წ. და მაშინათვე ეკურთხა მღვდლად.

დონ გაბრიელმა იცის ევროპიული და აზიური ენები, ზედ მიწევნით და ჩინებულად ქართული ენა, იგი დიდათ მოყვარეა საქართველოს ისტორიის, საქართველოს ყველა საზოგადო საქმეების არსებობასაც გულმხურვალედ აღევნებს თვალყურს.

დონ გაბრიელ ასლანიშვილი ხალხის ცხოვრებაზედ გონიერი შეხედულების არის და მსოფლიო მიმართულების მოძღვარი, ამიტომაც იმეცადინა მან და თავის ძმის წულებს, როგორც ვაჟს, ისე ქალს, მისცა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში სათანადო უმაღლესი სწავლა-განათლება. ქართველ კათოლიკეთა გვაროვნულ პირობებსაც კარგად აღევნებს თვალყურს, ამის შესახებ სწორე მოსაუბრე გახლავსთ. მანვე შეადგინა ქართულს ენაზედ რომის ქართველ კათოლიკეთათვის ფართო სახმარებელი ლოცვის წიგნი და 1906 წ. თფილისში ცალკეც გამოსცა.

დონ გაბრიელი, როგორც მსოფლიო შეხედულების პირი, დიდი მომხრეა ხალხის განათლების და განვითარების, ამიტომაც მისი წადილი დიდი მოწადინეა საქართველოში სკოლების გამრავლების შესახებ. თავის მრევლშიაც იგი ამ მცნებას საქვეყნოდ ღალადებს.

ლარიბ-ლატაკ ერთა გარემოებაც მას ყოველთვის ახსოვს, მრევლში იგი ფხიზლად უმზერს ამ სენს. ამიტომაც მან იმეცადინა და ერთ დროს ახალქალაქის მაზრიდამ, რამდენიმე კომლი ქართველ უმიწაწყლო გლეხები გორში გადმოასახლა, მათ მოუპოვა იჯარით გორისკენ მამულები და დაასახლა, ამ საქმის გამო მას მოუვიდა ბევრი შროშა და ნივთიერად და-

ხარჯვა. ვიდრე ამ გლეხებს დაბინავებდა. თუ არ კაცო-მო-  
ყვარე, უამისოდ ძნელად რომ ვინმებ აიტანოს ასეთი შრომა  
და ქონების შეწირვა(3).

დონ გაბრიელი არის მეტის-მეტი ჭეშმარიტი და მართა-  
ლი მღვდელი, მას სიმართლე, პატიოსნება და კაცის პიროვ-  
ნების შეხება ძრიელ ეჯავრება. კაცის ავად მოქცევა, ვისიმე  
დაჩაგვრა, დაბრიყვება და სხვაც ყველა ასეთნი მისოვის აუ-  
ტანელია. ასეთ საქმეთა ჩადენას იგი არავის აპატივებს. მკაც-  
რი მოსარჩევა დაჩაგრულთა და დევნილთა პიროვნების ხელ-  
შეუხებლობისთვისაც. კაცთა ცხოვრებაში დონ გაბრიელს სის-  
წორე და ჭეშმარიტება დიდს საჭიროებათ მიაჩნია. ამით იგი  
ისეა მომზადებული რომ მას შეუძლიან კარგი ვექილობაც  
გასწიოს, ამით იგი მომზადებული მღვდელი გახლავსთ.

ამიტომაც უფრო სასიამოვნო იყო ის გარემოება, რომ  
დონ გაბრიელი ბათუმის ეკკლესიის წინამდლვრად ამოირჩიეს,  
აქ, ამ სადავო წასართმევ ეკლესიას სწორედ ასეთი მღვდელი  
სკირია, რომ მან ეკკლესია წარტაცვისაგან დაიცვას.

დონ გაბრიელმა ეკკლესიის საქმენი კარგად შემოფარგ-  
ლა, მოდავეებსაც გული დაუდინჯა, ეკკლესიის შეკეთებაც  
მოახერხა, საეკკლესიო ადგილის ვალიც გადიხადა,— სხვა(3)  
ბევრი რამ გააკეთა. დღეს ასეა ბათუმის ეკკლესიის საქმე,—  
შემდეგ როგორ იქნება, ეს უწყის ღმერთმა.

თფილისის რომის ქართველ კათოლიკეთ ეკკლესიის  
წინამდლვარი პატრი ლაზარე გოზალოვა.

გოზალოვების ძველი გვარი კოჭ-ბროლაძეა. იგინი მეს-  
ხეთ-ჯავახეთის სოფლელები გახლავან. გოზალოვები მათ ეწო-  
დათ ოსმალთა გავლენის დროს, სომეხ-კათოლიკეთა მანქანე-  
ბით. პატრი ლაზარე თფილისში დანიშნულ იქნა პატრი  
დომინიკე ნულაშოვის შემდეგ.

პატრი ლაზარე გოჩალოვი დაიბადა 1871 წ. სოფ. ვალეს (ახალც. მაზ.). მამა ამათი იყო ივანე, დედა—სოფიო. პირველ დაწყებით პატრია ლაზარე სწავლობდა სოფ. ვალეს სასწავლებელში, მერე სწავლობდა სოფ. უდეს, თავის ბიძა სტეფანე გოჩალოვთან. 1882 წ. სტამბოლს გაემგზავრა, იქ სწავლობდა ხარისჭირაშვილთან. მერე გაემგზავრა რომს, სწავლობდა პაპის კოლეგიაში. კერძოთ შეისწავლა ბერძნული ტიბიკონი და მასთან ქართულიც კარგად. რომში სწავლა დაამთავრა, მერე დაბრუნდა საქართველოში, აქედამ გაემგზავრა სარატოვში და იქ კათოლიკის ეპისკოპოსისაგან 1896 წელს კურთხეულ იქმნა მღვდლად. კურთხევის შემდეგ იგი დაბრუნდა სამშობლოში და ლათინის ტიბიკონით მსახურებდა ახალციხის ერთს ეკკლესიაში, მასთანვე იგი გახლდათ ახალციხის სამოქალაქო და სამრევლო სკოლებში მასწავლებლად.

საღაც კი მსახურებდა პატრი ლაზარე, იგი ყველგან სტოვებდა კეთილ ხსოვნას და პატიოსან შრომის მოსაგონარ ცნობებს. 14 დეკემბერს, 1907 წ. იგი გაღმოყვანილ იქმნა თფილისში რომის ქართველ კათოლიკეთა ეკკლესიის წრნამძღვრად და მართველად. ეს ეკკლესია არის ტახტი კათოლიკეთ ეკკლესიისა საქართველოში კერძოთ და საერთოდ მთელს კავკასიაში. მაშასადამე ეს არის უპირატესი თანამდებობა პატრი ლაზარესთვის.

პატრიმა ლაზარემ იცის ენები ლათინური, ფრანგული, რუსული, ბერძნული, სომხური, თათრული და ქართული ზედ-შიშვნით და კარგად. იცის კარგად საქართველოს ისტორია, იცნობს დაახლოვებით ქართულ ლიტერატურას, ქართველ კათოლიკეთ და საქართველოს ყველა საქმეებსაც ფხიზლათ ადევნებს თვალ-ყურს.

პატრი ლაზარე გოჩალოვი თფილისში დაინიშნა ისეთ დროს, როცა ჩვენს სამშობლოში ჯერედ კიდევ დიდი აურზაური იყო და მასთან თფილისის კათოლიკის ეკკლესიის კითხვებიც ატეხილი გახლდათ. ამ დროს უნდა გადაწყვეტილი-

ყოს ამ ეკულესის ბედ-იღბალიც, თუ იგი ვისი საკუთრება იყო. ქართველ კათოლიკების, სომხების, ანუ იქნება ეს ეკულესია ორივეს საკუთრება გახლდათ — აქ ორივეს ერთნაირი უფლებაც აქვნდათ.

სამწუხაროდ, ამ ეკულესის საქმეებში ლათინის წესის პატრები სულ ვერ იჩენდნენ სათანადო ენერგიას, ერთად-ერთი მხოლოდ პატრი ფილიპემ მიაქცია ჟურადლება, მას შემდეგ კი ყოველივე მოისპო და გაქრა. ხოლო არ გაქრა ამ ეკულესის სადაცო კითხვა.

მოვიდა დრო და ეამი, როცა ამ ეკულესის ბედი უნდა გადაწყვეტილიყოს, სწორედ ამ დროს, ამ სადაცო საქმის მართველი დანიშნულ იქმნა პატრი ლაზარე გოზალოვი. ჭეშმარიტად, რომ პატრი ლაზარე თითქოს განგებამ გამოუგზვნა ამ სადაცო ეკულესის მფარველად. პატრი ლაზარემ იდვა თავს ამ ეკულესის სადაცო საქმის გათავება, გადაწყვეტა მის, თუ ვისი უნდა ყოფილიყოს ეს ეკულესია, მან ამისათვის დაიწყო ცდა როგორც რუსეთის მთავრობის წინაშე, ისე რომის ტახტის. ბევრი დავი-დარაბის ატანა შეხვდა პატრი ლაზარეს, ბევრი ცდა და კამათი, მაგრამ მან მაინც გული არ გაიტეხა და ცდას თავი არ დაანება, იმედი აქვნდა რომ სიმართლე თავისას გაიტანდა — გაიტანა კიდეც. ეკულესია ქართველებისად იქმნა მთავრობისაგან ცნობილი.

პატრი ლაზარეს ენერგიულის ცდით და შრომით დღეს ამ ეკულესის საქმე სომეხთაგან თავისუფალია, ეკულესია განთავისუფლდა. დღეს ეს ეკულესია თავის მამულებით ქართველ რომის კათოლიკეთა საკუთრებას შეადგენს. ყოველივე ასეთ საქმეთა ცდასთან სომეხთა გული ვი ათასი მანეთიდაც იქმნა შეჯერებული, ეს-ფული გადუხადა ლევან ზუბალაშვილმა.

## სტამბოლის ქართული სტამბის საქმენი.

სტამბოლის ქართული სტამბა ერთ დროს ქართველ საზოგადოებას კარგად ემსახურებოდა. მაგალითებრ ხსენებულ სტამბაში მრავლად იყვანდნენ შეგირდებს ხელობის შესასწავლად, სტამბის ხელოსნებს გარდა იქვე ასწავლიდნენ მათ წერა-კითხვას ფრანგულს ენაზედ, ლათინურს, ბერძნულს, ოსმალურს, სომხურს და ქართულს.

## სტამბაში ბერებიც მუშაობენ.

ხსენებულსავე სტამბაში, ხელოსნობას ასწავლიდნენ სტამბოლის ქართველ კათოლიკეთ მონასტრის სკოლის მოწაფეებს. ასეთ პირთა რიცხვი იქ 1870 წელს უკვე გამოსჩანდა. 1876, 77 და 78 წლებს რაც კი კონსტანტინეპოლის და მონთობანს (ფრანცია) ქართულ სტამბებში წიგნები გამოიცენ, ყველა ესენი ამ მესტამბე ქართველ კათოლიკეთ ახალგაზრდა ბერებისაგან არის ამოწყობილი.

## სტამბოლის ქართული სტამბის კანახლება.

1913 წ. თფილისიღამ რამდენიმე ასი მანეთის ქართული ახალი ასოები გაიწერეს. სტამბა განაახლეს, სურვილი აქვსთ, რომ ქართული წიგნების ბეჭვდაც დაიწყონ.

კონსტანტინეპოლის ქართულ სტამბას დღეს აწარმოებს მესტამბე, ანუ სტამბის ხელობის კარგად მცოდნე სოლომონ ვადაჭკორია, თფილისის სტამბის ასპარეზზდ ხელოსნობით კარგიდ ცნობილი.

## ნიმუში კონსტანტინეპოლის სტამბის.

თფილისის სტამბების ასპარეზზედ მუშაობს ხელოსნობით ქართველი კათოლიკე ალექსანდრე მირაქოვი. წიგნი „მოლა

Известиях  
TEХНИКА 298/60

მასრადინის“ ავტორი და ასევე სხვა ასეთ წიგნაკების; ამ პირის წერილები გაზ. „საქართველო“-შიც იბეჭდება, იგი გონიერი შეხედულების გახლავსთ ქართველ კათოლიკეთა გვაროვნობაზედ. ეს პირი გამოზრდილია სტამბოლს და განსწავლულია ქართულ სტამბაში, საღაც მას შეუსწავლია ენები: ფრანგული, იტალიური, ბერძნული, ოსმალური, სომხური, რუსული და ქართული.


### მხითარისტების მოძღვრების მანიფესტი.

აუცილებოივ ქართველ კათოლიკეთ გვარის გადაყლაპვა, შეჭმა, მათ უკვე მოასწრეს და შეჭამეს რამდენიმე ასი ათასი ქართველობა და გაასომხეს. ამ გზას იგინი დაადგნენ 1737 წლიდამ. დღესაც მისდევენ მას მხურვალედ, ქართველ გვარის შესაჭმელად აი რა ღონისძიებას ხმარობენ: ქართველ კათოლიკებთაგან მიჰყავსთ პატარა ბავშვები, მათ ზრდიან სომხურად, არწმუნებენ მათ რომ იგინი სომხის კათოლიკენი არიან, სომხის გვარისანი. მერე ამათ აკურთხებენ მღვდლად და გზავნიან საქართველოში ქართველ კათოლიკეთა გვარის წინააღმდეგ საბრძოლველად. ასეთნი არიან ქართველი გვარის მკაცრი მტერნი თვით ქართული გვარის მხითარისტი მღვდლები და მათ შორის ამაზასპ საფარიანი და დიონოსე კალატოზიანი, ორივ ქართველები.

### მოკლე ისტორია ქართველ კათოლიკეთა.

(სურათებით)

შეუძლებლობის გამო ვერ ვბეჭდავთ ამ წიგნს. ამ წიგნიდამ დავბეჭდეთ ზოგი სურათები ეხლა, უმეტესი ნაწილი სურათების კი ამ ხელთნაწერში იქნება მოთავსებული. ეს წიგნი მდაბიურად განმარტვა არის მ. თამარაშვილის წიგნის, სხვაც ბევრი რამ მასალებია მოთავსებული.



ქართველთ მრეწველნი

I.

გიორგი დავითისძე



ესაზღვრიშვილი

თბილისი.

სტამბა კ. თავართქილაძისა არენდატ. ი. მუგდუსიაკოფოვი.

1904.

